# ო ქ მ ი №2

## საკონკურსო კომისიის
## სხდომის ჩატარების შესახებ

ქ. ახალციხე 2011 წლის 24 ივნისი

ა/წლის 24 ივნისს 17:00 საათზე ჩატარდა შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკის და განძის, ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის პოლიციის განყოფილებების ადმინისტრაციულ შენობებთან მიმდებარე, დამხმარე ნაგებობის და ტერიტორიის (ეზოს) კეთილმოწყობის არქიტექტურული პროექტების შედგენასთან (საკონკურო განცხადება №102) დაკავშირებით, სამხარეო მთავარი სამმართველოში შექმნილი მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ, კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ მაისურაძე, კომისიის წევრები: დავით ზედგინიძე, ზაზა ჩიტაშვილი, ზვიად ლომსაძე, გელა ზედგინიძე, არჩილ ჭიღლაძე, ვასილ ჭალიაშვილი,

ბელა ყურმაშვილი (სხდომის მდივანი);

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ ვ. მაისურაძემ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხი:

1. შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის და ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკისა და განძის განყოფილებების ეზოს და საკომუნიკაციო ქსელების კეთილმოწყობის პროექტების შედგენასთან (საკონკურო განცხადება №102) დაკავშირებით, გამოცხადებულ კონკურსში პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების პაკეტების გახსნა და ჩვენს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციასა და წარმოდგენილ დოკუმენტაციებს შორის იდენტიფიცირება, ასევე შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა;
2. პირველ საკითხთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხთან დაკავშირებით, კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ვ. ჭალიაშვილს, რომელმაც განმარტა, რომ საკონკურსო წინადადებების მიღების ვადა ამოიწურა 24 ივნისის 17:00 საათზე, აღნიშნულ ვადამდე საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა იურიდიულმა ფირმამ შპს "ლ.დ.იუნიონმა" ვ. ჭალიაშვილმა წარმოადგინა ზემოთ დასახელებული იურიდიული ფირმის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს დაადასტურონ ხსენებულ კონკურსთან ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ.

პაკეტების გახსნის შემდეგ შემოწმებულ იქნა შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციასა და წარმოდგენილ დოკუმენტაციებს შორის შესაბამისობა, შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ შპს "ლ.დ. იუნიონის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს მიერ მოთხოვნილ განცხადებას და დოკუმენტაციას.

საკონკურსო კომისიამ განიხილა შპს "ლ.დ. იუნიონის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და მოახდინა მისი შეფასება საკონკურსო დოკუმენტაციაში განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის და კომისიის წევრთა შეფასებების გათვალისწინებით

საკონკურსო კომისიამ

### დ ა ა დ გ ი ნ ა

1. შსს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს ახალქალაქის რაისამმართველოს ბარალეთის და ნინოწმინდის რაისამმართველოს გორელოვკისა და განძის განყოფილებების ეზოს და საკომუნიკაციო ქსელების კეთილმოწყობის პროექტების შედგენასთან (საკონკურო განცხადება №102) დაკავშირებით, გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად დასახელდეს შპს "ლ.დ. იუნიონი".
2. გამარჯვებულ ფირმას გაეგზავნოს მოწვევა ხელშეკრულების გასაფორმებლად.
3. კონკურსის შედეგები გადაგზავნილ იქნას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ვებგვერდზე განსათავსებლად.

სხდომის თავმჯდომარე : ვ. მაისურაძე

წევრები: დ. ზედგინიძე

ზ. ჩიტაშვილი

ზ. ლომსაძე

გ. ზედგინიძე

ა. ჭიღლაძე

ვ. ჭალიაშვილი